

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა კილაძის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: ქალაქი ლანჩხუთი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 30.10. 2015 წელი 17.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: დეპუტატი გელა კილაძე, დეპუტატი ვევენი ჩიჩუა, დეპუტატი ია ჩხაიძე, დეპუტატი ზესოკ ტაბიძე, დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს აპარატის სამდივნოს სპეციალისტის მ/შ მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი გელა კილაძე აღმაშენებლის ქუჩაზე შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას. მან მოსახლეობას გააცნო ის მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელდა მისი საკრებულოში მოსვლის პერიოდიდან. პირველი და მნიშვნელოვანი რაც გაკეთდა იყო ის, რომ თანამდებობის პირებმა სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის განკუთვნილ თანხებზე უარი განაცხადეს, რითაც ბიუჯეტში ყოველთვიურად 6 500 ლარი გამოთავისუფლდა. მიმდინარე წლის ბიუჯეტის ფორმირების დროს პრიორიტეტად განისაზღვრა და დაფინანსება გაეზარდა სკოლამდელ სასწავლო-სამაღზრდელი ცენტრს, რომელშიც 1 500 000 ლარი ჩაიდო. სრული რეაბილიტაცია ჩატარდა მაჩხვარეთის საბავშვო ბაღის შენობას, სულ მალე ექსპლუატაციაში შევა აკეთის საბავშვო ბაღის შენობა, წლის ბოლომდე დასრულდება წყალწმინდასა და ჯურუყვეთში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. ახალი ბაღი აშენდა ასევე ნიგოითში.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ის კმაყოფილია „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ მუშაობით. ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას ინტენსიურად ამოწმებს როგორც გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახური, ასევე საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისია, გამგეობის წარმომადგენლები და მაჟორიტარი დეპუტატები.

ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტში, საუბარია სუფსა-გულიანის 12 კილომეტრიან გზის მონაკვეთზე, რომელიც გარდამავალი პროექტია და 2017 წელს დასრულდება, პროექტის ღირებულება 3 მილიონ ლარს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საფეხბურთო კლუბ „გურიას“ სულ მალე ექნება საწვრთნელი ბაზა გრიგოლეთში, შენობის სრული რეაბილიტაციისათვის გამოიყო 358, 887 ლარი.

8 სოფელში დაწყებულია წყალმომარაგების სამუშაოები.

2014 წელს სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოიყო 2 600 000 ლარი. საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა აღნიშნული თანხით შემდეგი პროექტების დაფინანსება: აკეთში მდინარე სუფსაზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება, აცანაში საბავშვო ბაღთან მისასვლელი გზის მოწყობა, მეწყრული მონაკვეთის ნაპირსამაგრისა და წყალწმინდაში შიდა სასოფლო გზაზე სახიდე გადასავლელების მოწყობა.

ქალაქში 10 ქუჩაზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო ასევე რკინა-ბეტონის სანიადრე არხები. მომავალი წლის ბიუჯეტში 800 ათასი ლარი ქალაქის კეთილმოწყობისთვის ჩაიდება.

დეპუტატი აქვე შეეხო აღმაშენებლის ქუჩის მაცხოვრებლების განცხადებას, რომლითაც მოსახლეობა ითხოვს სიჩქარის შემზღუდავ ბორცვების მოწყობას. მან განმარტა, რომ გამგებელი საქმის კურსშია და უახლოეს ხანში მოგვარდება აღნიშნული საკითხი. სიჩქარის შემზღუდავის პრობლემა იდგა ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლასთან, მაგისტრალზე, რომელსაც გზების დეპარტამენტის წებართვა დაქირდა. უკვე რამდენიმე დღეა შემზღუდავი დამონტაჟებულია.

დეპუტატმა გელა კილაძემ აღნიშნა საკრებულოს წევრების და აპარატის თანამშრომლების მონაწილეობა საქველმოქმედო ღონისძიებებში. ისინი ხელფასიდან ყოველთვიურად რიცხავენ გარკვეულ თანხას ფონდ „სოლიდარობაში“. მუნიციპალიტეტმა გარკვეული წვლილი შეიტანა თბილისში 13 ივნისს სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულთა დასახმარებლად. ლანჩხუთიდან გაიგზავნა 3 ტონაზე მეტი ტვირთი და საკრებულოს სახელით 1675 ლარი გადაირიგა. ჩოხატაურში 13 ივნისს სტიქიის დროს დაღუპული ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკა გაიხსნა. საკრებულომ და აპარატმა მოკრძალებული წვლილი შეიტანა აღნიშნულ საქმეში. წიგნები და 500 ლარი გადაეცა ბიბლიოთეკას.

გამგობასთან ერთად საკრებულო ეხმარება ეკლესია-მონასტრებს. რელიგიის მხარდასაჭერად ბიუჯეტიდან გადარიცხულია 50 447 ლარი.

გელა კილაძემ ასევე იმ სოციალური პროგრამების შესახებ ისაუბრა, რომელიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება. მოქმედებს 11 სოციალური პროგრამა, რომელშიც წლის ბოლომდე გაიხარჯება 400 000 ლარი.

დეპუტატმა ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ უნდა იყოს დენი, წყალი, გაზი, გზა, ინფრასტრუქტურა, მაგრამ სოციალური ფონი იმდენად დაბალია, რომ ორიენტირებული არიან სოციალურ პროგრამებზე. მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი შეჭირვებული ოჯახია. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი ოჯახების შვილებისათვის უფასო სახელმძღვანელოები და უფასო უმაღლესი განათლება. ასევე მნიშვნელოვანია საყოველთაო უფასო ჯანდაცვა, C-ჰეპატიტის პროფილაქტიკა უფასოდ, ტუბერკულოზის პროგრამა, შეღავათები ხვანა-თესვაზე და ა.შ.

დეპუტატმა ბესიკ ტაბიძემ განუმარტა მოსახლეობას, რომ ის პირადად ახორციელებს კონტროლს მოსახლეობის მოთხოვნებზე და მონიტორინგს უწევს შესაბამის სამსახურებს ამ მოთხოვნების შესრულების კუთხით. მან ასევე აღნიშნა, რომ არ დაიშურებს ძალ-ღონეს მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის თავის კოლეგებთან ერთად.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მოსახლეობამ პრობლემების შესახებ ისაუბრა.

ვაჟა კუკულაძემ აღნიშნა, რომ დაახლოებით 800 მეტრი სიგრძის საყანე



ფართობებთან მისასვლელი გზა მოსაწესრიგებელი, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე საძოვარია შესაღობი.

დოდო კუკულაძემ მოითხოვა ებრალიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების გაკეთება.

შაკო ებრალიძემ მოითხოვა აღმაშენებლის ქუჩაზე სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების დამონტაჟება.

ლელა იმნაძის განცხადებით, კოსტავას ქუჩაზეც არის სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების დამონტაჟების საჭიროება.

შეხვედრის დასასრულს მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა დეპუტატ გელა კილაძეს ყურადღებისთვის და თავის მხრივ დეპუტატიც დაპირდა მათ პრობლემების მოგვარებაში დახმარებას.

საკრებულოს წევრი



გელა კილაძე